N 118 28/03/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "
სხდომის ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი 27.03.2019 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე ციცინო ჩხაიძე

ფრაქციის წევრები:

ბესიკ ტაბიძე, ვლადიმერ ნანაძე, ზაალ სანაძე, კახა ბოლქვაძე,დავით ჩხარტიშვილი, , გოდერძი ქურიძე, ციცინო ჩხაიძე, გიორგი გვარჯალაძე, თორნიკე ტიკაძე

მოწვეული პირები: მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ციცინო ჩხაიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/ მომხსენებელი: ციცინო ჩხაიძე/

2.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/ მომხსენებელი: ციცინო ჩხაიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა

/ მომხსენებელი: ციცინო ჩხაიძე/

4. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა

/ მომხსენებელი: ციცინო ჩხაიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა

/ მომხსენებელი: ციცინო ჩხაიძე/

6.სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე , წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან განმარტა, რომ აღნიშნული პროექტი მოიცავს 521 966 ლარის ფარგლებში ჩასატარებელ შემდეგ სამუშაოებს:

1) ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი;
2) ქ. ლანჩხუთში, გოგიჩაიშვილის ქუჩაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი;
3) ქ. ლანჩხუთში, ურუშაძის ქუჩაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი;

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ მოცემულ ნუსხაში ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლებში გარე განათების მოწყობა. ასევე,

რიგ სოფლებში მოსაწესრიგებელია შიდა გზები, შემოსაღობია სასაფლაოები, მოსაწყობია სპორტული მოედნები, გასარემონტებელია ადმინისტრაციული შენობები და ა. შ.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მისი განმარტებით ზემოაღნიშნულ დადგენილებაში საჭიროა შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებაში 2019 წლის 08 თებერვლის N2089 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 374000 ლარი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება განისაზღვრა 748000 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში 2019 წლის 12 თებერვლის N214 განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის 155738 ლარი, თანადაფინანსების სახით უნდა მიიმართოს 8197 ლარი, სულ საპროექტო ღირებულება 163935 ლარი. მუნიციპალიტეტის გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზის ადმინისტრატორის წერილის განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვალა გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზის მომსახურების ღონისძიებებზე გამოიყოს 10100 ლარი, დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწოლილად ჩაითვალა დამონტაჟებული იქნეს კონტროლის (600X900მმ N1) 21 ცალი - 3402 ლარის ღირებულების ინდივიდუალური პროექტირების ფარის ვიდეო მოწყობილობა და 4 ცალი 1352 ლარის ღირებულების ინდივიდუალური პროექტირების ფარის (900X1250მმ N2) ვიდეო კონტროლის მოწყობილობა, სულ 4760 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებაში მიმდინარე წლის 8 თებერვლის საქართველოს მთავრობის N207 განკარგულებაში შესული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო 520000 ლარი, რომელიც მიიმართება საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. 120390 ლარით განხორციელდება საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დაფინანსება.

ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის წინადადებით მიზანშეწოლილად ჩაითვალა გურიის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის „მეწარმე ქალთა ბიზნეს ფორუმი“-ს მხარდასაჭერად გამოიყოს 1500 ლარი.

აღნიშნული პროექტების მიხედვით მუნიციპალიტეტის მიერ გასაწევი ხარჯების 29757 ლარის დაფინანსება განხორციელდეს შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული

შემოსავლის ზრდის ხარჯზე. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ფარგლებში დაზუსტებული იქნას საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის არაფინანსური აქტივების მუხლი და განისაზღვროს 363900 ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდეს მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების საქონელი და მომსახურების მუხლი 7400 ლარით და გაიზარდოს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის საქონელი და მომსახურების მუხლი 900 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 6500 ლარით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სახელოვნებო-სამუსიკო სკოლას შეექმნა პრობლემა შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასებთან დაკავშირებით და აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად შემოტანილი აქვს მოთხოვნა 5200 ლარის დამატებაზე, თუ ეს შიდა რესურსის ხარჯზე ვერ მოხდება, მაშინ საჭირო გახდება დამატებითი წყაროს მოძიება.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია გადაიხედოს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „გზამკვლევი 2001“ ახორციელებს მუნიციპალიტეტში არსებული პროექტების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას, რადგან საპროექტო ღირებულება შეადგენს თითოეულ ობიექტზე დიდ თანხას, რის გამოც ვერ ხერხდება პროექტების განხორციელება, მისი თქმით მუნიციპალიტეტის საპროექტო სამსახურს შესაძლებელია დაევალოს მისი შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელოს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. აღნიშნულ საკითხს ფრაქციის წევრები დაეთანხმა.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 10 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილება. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 10 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ .ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას. ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე” პუნქტის „ე .დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10 , წინააღმდეგი არცერთი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა

ციცინო ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"